წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი 28 თიბათვე 1916 წ. № 142

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მი[illegible]ლებულ განცხად[illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ფოთში გარდაიცვალა

კონსტანტინე იაგორის ძე

რუხაძე

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე. განსვენებულს ფოთში დაასაფლავებენ.

(1-157-1)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზე
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ვამზადებთ
პირობით ხელმისაწვდომ ფასებში
პრაპორშჩიკთა
სკოლისათვის
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—5

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში**
კორპუსის ბანაკში

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. ზ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

იყიდება
სახლები გორში და სიღნაღში
გორის ერთსართულიანი სახლი შესდგება შვიდი ოთახისაგან: სამზარეულო, თავლა და სარდაფი ქვევრებით, რომლებიც სულ ცემენტით არიან შეჭედილნი, წყლით და ბაღით. სულ ეზოთი 250 ოთხკ. საჟენი მიწით.
სიღნაღის ორსართულიანი სახლი შესდგება თორმეტი ოთახისაგან, სამკუთხივ გალერეა, ელექტრონი, როტონდა, ორი სამზარეულო, ცალკე ოთახი ორი სარდაფით. მიწა ზომით 200 ოთხკ. საჟენი სხვა და სხვა ხეხილებით და დიდი კაკლით. ზაფხულობით ამ ეზოში როტონდით სდგას სიღნაღის ახალი კლუბი.
იკითხეთ: სიღნაღში დაფქვიაშვილთან (ნაფიცი ვექილი), დეკ. ტურაშვილთან. თბილისში „საქართველოს“ რედაქციაში.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო. საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა
კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ
დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოხელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

შრომისა და ბინის
მძებნელ
პირთა განცხადებანი
დაიბეჭდება მეოთხე გვერდზე
ხელმისაწვდომ ფასად

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

თბილისი, 28 თიბათვე

ჭიათურის მრეწველობის შესახებ.

საკმაო დრო და ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც „საქართველოს“ ფურცლებზედ ვაუწყეთ ქართველ საზოგადოებას ჭიათურის ორი უდიდესი სამრეწველო წარმოების ამბავი, რომელთაც მთავრობა საჯარო ვაჭრობით გაყიდვას უპირებს და მიუთითეთ მას იმ უარლეს მნიშვნელობაზე, რომელიც ჩვენთვის აქვს ამ წარმოებებს. ჩვენ კრძალვით შევსთხოვდით შავი ქვის წარმოების სათავეში მდგომ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს და მთელ ქართველ საზოგადოებას, რათა ამ საკითხისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექციათ. ასეთი მიმართვა ჩვენ გავიმეორეთ და შემდგომ კიდევ და კიდევ შევეხეთ ამ საკითხს. ჩვენს წერილებში ვერავინ იპოვის ჭიათურის საბჭოს მოღვაწეობის არა თუ უდიერად ხსენებას, არამედ მის დაწუნებასაც კი. ჩვენ მხოლოდ საქმის ვითარებებზე შევეკითხეთ მას სხვა დ სხვა დროს დ მოვაგონებდით მოსალოდნელ სამწუხარო შედეგებს, რაიც უთუოდ მოჰყვებოდა ჩვენს უყურადღებობას და გულგრილობას. გავიდა კვირა, თვე და კიდევ თვე. ჩვენს შეკითხვებზედ არავინ პასუხს არ გვაძლევდა. ჭიათურის მამულების გაყიდვის საქმე კი თავისი გზით მიმდინარეობდა... მთავრობამ დანიშნა კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს ამ წარმოებების ლიკვიდაცია.

ხოლო კერძო პირთაგან გვესმოდა ჭიათურის საბჭოს აზრი ჩვენს შეკითხვებზედ: ჭიათურის საბჭო სავაჭრო დაწესებულება არ არის, ის ვერ იკისრებს ამ მამულების შესახებ რაიმე თაოსნობასაო; შეადგინონ ამხანაგობა და ჩვენ მიგვიწვიონ, როგორც საქმის მცოდნენიო და სხ.“ ჩვენ არ გვჯერა, რომ ასეთი საბუთების წამოყენება ენებოს ჩვენი შეკითხვების საპასუხოდ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს, შავი ქვის მრეწველთა უმაღლეს ორგანიზაციას. არც ჩვენმა გამოცემებმა მოისურვეს აღძრული საკითხის ჯეროვანად განხილვა და გათვალისწინება. თუ რომელიმე მათგანი მანამდის კიდევ უბრალოდ მაინც აღნიშნავდა ჭიათურის მამულების გაყიდვის ამბავს, ჩვენი შეკითხვის შემდგომ მათ პირში წყალი ჩაიგუბეს, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების უდიდეს საკითხის შესახებ ხმა არ ამოიღეს.

ბოლოს დაირღვა ეს იდუმალი მყუდროება და „სახალხო ფურცელმა“ კვირის ნომერში ორი წერილი უძღვნა ჭიათურის საქმეებს. განსაცვიფრებელი ის არის, რომ ამ წერილებში, თუმცა ისინი ვითომც ჭიათურის გერმანელ ქვეშევრდომთა მამულების გაყიდვის გამო არის დაწერილი, თვითონ საკითხი ამ მამულების დაკარგვის გაკვრით არის ნახსენებული. „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არ გვაქვს იმისა, რომ შავი ქვის მრეწველობის ის ნაწილი, რომელიც დღეს უცხოელებს უჭირავთ, ქართველებს დარჩეთო“, ამბობს „სახალხო ფურცლის“ მეთაური. არაფერი არ გვაქვს საწინააღმდეგოო!!. ამ რიგად გაზეთი, რომელიც თავის თავს ეროვნულ იდეალების მსახურად სახავს ქართველ საზოგადოებას ნებას რთავს ამ მიწების შეძენისას. ზრუნვას კი იმისთვის, რომ ის სწორედ ასე მოხდეს, ის თავის მოვალეობად არ სთვლის. ამ გაზეთის წერილები სულ სხვა დანიშნულებას ემსახურება. ის ქება-ხოტბას ასხამს ჭიათურის მრეწველთა საბჭოს და უკიჟინებს მათ, ვისაც ამისთვის არ სცხელა, როდესაც ჩვენი ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი სწყდება და როდესაც საჭიროა ჭიათურის საბჭოს ქებადიდება კი არა, არამედ მისი ამოქმედება და ამოძრავება.

უთუოდ ჩვენი საზოგადოება მოხსენებულ მამულების შესახებ „სახალხო ფურცლის“ ასეთს მზრუნველობასაც მოკლებული იქნებოდა, რომ გაზეთს საჭიროდ არ დაენახა ჭიათურის საბჭოს დაცვა. „სახალხო ფურცელი“ ვითომც ჩვენგან იცავს ამ საბჭოს. ჩვენ კი მის საწინააღმდეგოდ არა გვითქვამს რა, გარდა მშვიდობიანი შეკითხვებისა შესახებ ჭიათურის მიწებისა. ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ „სახალხოს“ გამოსვლა სხვა რამით არის გამოწვეული.

ჭიათურის მრეწვ. გარშემო

პირველი ღირსშესანიშნავი ნაბიჯი

ჭიათურის საკითხი სრულიად საქართველოს საკითხია. იგი საერთო ძალით მუშაობას მოითხოვს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ უკვე შეიგნო ჭიათურის მრეწველობის მნიშვნელობა. ამის უტყუარი საბუთია ის ყურადღებაც, რომელიც დაიმსახურა ამ დიდ მნიშვნელოვანმა მოვლენამ ბათომის ქართველობაში. ჩვენ გვრწამს ბათომის საზოგადოების მიერ გადადგმული ღირსშესანიშნავი ნაბიჯი უქმად არ ჩაივლის. მოგვყავს ბათუმელთა კრების დადგენილება:

ამა წლის 23 თიბათვეს მოხდა ბათომელ ქართველობის სხვა და სხვა წრის კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველო“-ში აღძრულ საკითხზე, შესახებ ჭიათურის გერმანელ ქვეშევრდომთა მარგანეციანი ადგილების და სამრეწველო ქარხნების ლიკვიდაციისა. კრება შემდეგ დასკვნას დაადგა:

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ძირითად დებულებებს, რომელნიც წამოყენებულია გაზეთ „საქართველოს“ მიერ იმ მიზნის განსახორციელებლად, რომ ჭიათურის მამულები ქართველობას ხელიდან არ გამოეცალოს.

რადგანაც ლიკვიდაციის დრო ძალიან მოკლეა და შეუძლებლად მიგვაჩნია ამ ვადაში რაიმე ახალი ორგანიზაცია შევქმნათ, როგორც მაგალითად ამხანაგობა, ანუ სააქციონერო საზოგადოება, ამიტომ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია მიზნის განსახორციელებლად მივმართოთ თბილისის და ქუთაისის თავად აზნაურთა წინამძღოლთ და ჭიათურის მრეწველთა საბჭოს რათა მათ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ ეს ეროვნული განძი ხელიდგან არ გამოგვეცალოს.

გვრწამს, რომ ამ ეროვნული საქმის განსახორციელებლად შეერთდება ყოველი ქართველი, მიუხედავად პარტიული მიმართულებისა და შეერთებული ძალით დააყენებს საქმეს სასურველ ნიადაგზე.

თუ გაერთიანებული თავად-აზნაურობა და საბჭო ენერგიულად მოეკიდება საქმეს, გვწამს უპირატესობა მათ მიენიჭებათ და მამულები ჩვენს ხელში გადმოვა იმავე ფასებში, რა ფასებშიაც გერმანელებს აქვთ შეძენილი ქართველ მემამულეებისაგან.

ამასთანავე კრებამ აირჩია დეპუტაცია ოთხი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა დაწვრილებით გადმოგცეთ „საქართველოს“ რედაქციას კრების დადგენილება. დეპუტაციაში შედიან: ს. ნ. წერეთელი, ვ. დ. რუხაძე, ნ. ა. საზაევი და მ. მ. ნაკაშიძე.

თათბირის თავმჯდომარე
გრ. ლ. ელიავა.

„მეგობრის“ და ნ. ნიკოლაძის წერილები

თავისთავად რაც უნდა საყურადღებო და მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, საზოგადოებრივი მორალის, ზნე-ჩვეულების და საზოგადო მოღვაწეობის თვალთაზრისით ზოგიერთი ის მოვლენა, რომელსაც ეხება ეს წერილები, ამჟამად ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, ან თუ გვაინტერესებს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ეხება ჭიათურის მრეწველობის საკითხს.

დიდი და ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ჭიათურის მამულების საკითხი და ჩვენც გვინდა უმთავრესი ყურადღება მას მივაქციოთ. ქვემოდ მოყვანილ წერილების ნიადაგზეა აღმოცენებული „სახალხო ფურცელის“ წერილებიც. მაგრამ განა ეს წერილები არსებითად ეხება იმას, რაც ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წერილშია მოხსენებული გერმანელი მრეწველობის შესახებ? „მან სძებნა, იპოვა და მოგვიყვანა გერმანიიდან ის მრეწველები, რომელთაც თუთხმეტი წლის მეცადინეობით ხელში იგდეს უმთავრესი ჩვენი შავი ქვის მადნები“—სწერს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე. თუ სახალხო ფურცელს“ აინტერესებს საკითხი ჭიათურაში უცხოელების გამეფებისა, სწორედ ზემოდ მოყვანილ სტრიქონებს უნდა შეხებოდა, უნდა გამოერკვია მისი სისწორე თუ სიმრუდე. ამის ნაცვლად ის ქართველ მრეწველებს უკიჟინებს,—რატომ ისინი სპარსეთში „მიძვრებიან“ და არა ჭიათურაში, სადაც მრეწველთა საბჭოს ქართველ მრეწველებისთვის სამოთხე შეუქმნია.

ჩვენ არც ძველ შეცდომებს გამოუდგებით ამ ჟამად. საჭიროა რომ ყველამ ვისაც კი რაიმე ღონისძიება შესწევს, თვით საქმეს, ამ მამულების დაბრუნების საქმეს მოახმაროს. იმედი გვაქვს რომ ჭიაურის შავი ქვის მრეწველები ხმას ამოიღებენ ჩვენ მიერ აღძრული საკითხის შესახებ. და გვწამს აგრეთვე, რომ ეს სიტყვა იქნება საქმის სიყვარულით და მაზედ ზრუნვით გამოწვეული და არა ქება-ხოტბა რომელიმე დაწესებულებისა, ანუ ლანძღვა გინება ამა თუ იმ საზოგადოებრივი წრის წინააღმდეგ მიმართული არ არის დრო არც ვინმეს აუგოს და არც ვინმეს დაცვისა, როცა ამის საროებაც კი არ არის. მნიშვნელოვან საკითხს ღირსეული ყურმდღება მართებს.

ჩვენ კიდევ მივაქცევთ ყველა ქართველის ყურადღებას ამ მწვავე საკითხს. პირადობა, პირადი თავმოყვარეობა და ღირსება წმინდა და დიადი რამ არის. მაგრამ ამაზედ უფრო მაღლა უნდა იდგეს საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესი და საჭიროება, ღირსება თუ თავმოყვარეობა.

ღია წერილი

ბ. ნიკოლოზ იობის ძე ნიკოლაძეს.

ქუთაისის „ახალ კვალში“ 13 ივნისის ნუმერში დაბეჯითებით ნათქვამია, ვითომ თქვენ გებრძანებიოს ქუთაისის ნაფიც ვექილთა ოთახში, რომ სხვათა შორის გ. ზდანოვიჩს შეუტანია „დონოსი“, რომელსაც შედეგად მოყვა თქვენს შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრა.

ბ. ზდანოვიჩი ამ ჟამად ქუთაისში არ იმყოფება. ხოლო მისი ამხანაგები, მეგობრები და პატივისმცემელნი ღრმად აღშფოთებულნი არიან ასეთის უცნაურის და შეუსაბამო ცილის წამების გამო; უმორჩილესად გთხოვთ გაზეთის საშვალებით პასუხი გაგვცეთ, რამდენად შეესაბამება სიმართლეს გაზეთ „ახ. კვალში“ მოთხრობილი ამბავი და მართლაც ინებეთ თუ არა, და რა საბუთით, ბ. ზდანოვიჩის შესახებ ასეთ არა საკადრისი ხმების გავრცელება.

„ჩვენი მეგობრის“ რედაქცია.

(„მეგობარი“ 16 ივნისი, № 85.)

—

ღია პასუხი

„ჩვენი მეგობრის“ რედაქციას

ბატონო რედაქციავ!

დღეს გადმომცეს თქვენის გაზეთის 85 ნომერი, რომელშიაც მეკითხებით, რამდენათ შეესაბამება სიმართლეს გაზეთს „ახალ კვალში“ მოთხრობილი ამბავი, ვითომც ქუთაისის ვექილთა ოთახში მეთქვას, რომ სხვათა შორის გ. ზდანოვიჩს შეუტანია დონოსი, რომელსაც შედეგათ მოჰყვა ჩემს შესახებ სამართალში მიცემის აღძრვა. მოვძებნე „ახალი კვალიც“. შიგ ჩემი ნათქვამი სწორად არ არის მოყვანილი: არ მითქვას „სხვებთან ერთად დონოსზე ხელი უწერიათ ანდრია ერისთავს, გ. ზდანოვიჩს და იონა მეუნარგიასო“. ან რა გამოსაძიებელია, თუ რა სთქვა ნიკოლაძემ კერძოდ, ვექილების ოთახში? ვინც სიმართლის მაძიებელი და ჩვენი მოღვაწეების ღირსების დამცველი ბრძანდება, მას ყურადღება უნდა მიექცია ბევრად უფრო შემაძრწუნებელის ამბავისათვის, რომელიც თვით სასამართლო პალატამ საჯაროდ გამოაქვეყნა: სენატორის ნეიდგარტის რევიზიის მთავარ-მოხელეს, პროკურორს ვლადიმირ ისმაილის ძეს სლუჩევსკის უჩვენებია, ნიკოლაძის საქმე აღიძრა კავკასიის უაღრესი საზოგადო მოღვაწეების თაოსნობით და უჯიათობითო. მათ მოახსენეს სენატორს, რომ ფოთის ნავთსადგურის შენებაში ნიკოლაძემ მრავალმილიონიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, რომელსაც კავკასიის მთავრობა კალთას აფარებსო.

ამ ჩვენების ნახვა და წაკითხვა ყველას შეუძლია. ეს „ხმა“ კი არ გახლავს, ვექილების ოთახში გავრცელებული, ნამდვილი და ჭეშმარიტი ფაქტია, ნეიდგარტის თანაშემწისგან დადასტურებული.

ბბ. კავკასიის „საზოგადო მოღვაწეებს“ რომ ბ. ნეიდგარტი შეცდომაში ჩაუგდიათ ფოთში მომხდარის ბოროტმოქმედების შესახებ, ეს თვით რევიზიამ, გამოძიებამ და სასამართლომ დაამტკიცა: ხუთს წელიწადს ეძიეს, ცა და მიწა გადააბრუნეს, და ვერავითარი, არა თუ ბოროტმოქმედება, უწესობაც კი ვერ იპოვეს, ვერც ფოთის ნავთსადგურის შენებაში, ვერც ფოთის ქალაქის მართვაში.

თვით ის მუხლი (372) სისხლის სამართლისა, რომელზედაც რევიზიამ, გამოძიებამ და სასამართლომ ჩემი საქმე დაამყარა, მარტო ისეთს საქციელს ეხება (როგორც შიგვე სწერია), „რომელიც სრულიად არაფერში არ არღვევს სამსახურის მოვალეობას“. ერთი ნამცეცა რამე ამ მოვალეობის დამრღვევი რომ ეპოვათ, პასუხისგებაში მიმცემდენ სულ სხვა მუხლის (373) ძალით, რომელიც მოგეხსენებათ, დამნაშავეს ღირსებას ხდის და სამი წლის ციხით სჯის. ვიმეორებ—ბოროტმოქმედება ყალბად გაჭედილი გახლდათ.

ვინ ბრძანდებიან ის ვაჟბატონები, ვინც იკადრა ეს სიყალბე, ვინც ასე „არასაკადრისად“ ისარგებლა სენატორის რევიზიის ყოვლის შემძლებლობით—ეს ჩემი საძიებელი როდია. ეს იმ საზოგადოებამ, იმ ერმა იკვლიოს, რომელიც ასეთს წარმომადგენლებს ქვეყნის ბედს აბარებს. ამ კითხვის გამოსარკვევლად თუ ვექილების ოთახში ნაბაასევის მაგივრად უტყუარ დოკუმენტს მიჰმართავთ, დარწმუნდებით, რომ საქმე აღუძრავთ „კავკასიის უაღრესს საზოგადო მოღვაწეთ“. ეს ხარისხი, მოგეხსენებათ, მარტო სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს ეძლევათ. ბ. ბ. გიორგი ზდანოვიჩი და იონა მეუნარგია ჯერ მას არ ატარებენ. ქართველთ „მოღვაწეთაგან“ ფოთის ბოროტმოქმედება სენატორ ნეიდგარტს და მის თანაშემწეთ მოახსენეს სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ბათომის ოლქისამ თ. პროკოფი შარვაშიძემ და ქუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელმა სახელმწიფო საბჭოში თ. ანდრია ერისთავმა. ამ უკანასკნელის მოქმედება სასამართლოს წინაც გამომჟღავნდა.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ ორივე ეს ქართველი „საზოგადო მოღვაწე“ ბრმა იარაღად გახდენ სხვა უფრო ოსტატის და პირშავად მოქმედის ძალების ხელში, რომელნიც ქართველობის გარეშე სდგანან და ქართველობას ებრძვიან: წამქეზებლები ბრძანდებოდენ სომხების მეთაურნი და გერმანიელი მრეწველები. მათ განზრახვას — ჩვენი შავი ქვის მადნების დასაკუთრებას—ხელს უშლიდა ფოთის ქალაქის საქმიანობა. აი, სადაა დამარხული ძაღლის თავი!

მართალია, თქვენ, ბატონო რედაქციავ, თვითონ **მიბრძანებთ** რომ ეს ამბავი თქვენ გაშფოთებთ მარტო როგორც ბ. ზდანოვიჩის „ამხანაგებს, მეგობრებს და პატივისმცემლებს“. მე კი სულ სხვა თვალსაზრისი მაქვს. ყოველ პიროვნებას უნდა აღემატოს აქ ქვეყნის საქმის მხარე. თუ მართლა მამულის დარაჯნი ბრძანდებით სტამბაში, უნდა დაივიწყოთ, რომ ბ. ზდანოვიჩის მეგობარი და ჩემი მტერი ხართ. მარტო ის უნდა იკვლიოთ: ჩვენს ურთიერთობაში მამულის ერთგული, ან მამულის მოღალატე ვინ ყოფილა? ამ საკითხის გაშუქებას თუ ისურვებთ, გულახდილად მოგახსენებთ, რის ბრალს ვსდებ ბ. ზდანოვიჩს დიდი ხანია, მარტო ქუთაისის ვექილების ოთახში კი არა, საქვეყნოდ, სტამბით, საზოგადო დაწესებულებებში, ყოველთვის, ყველგან.

მან სძებნა, იპოვა და მოგვიყვანა გერმანიიდგან ის მრეწველები, რომელთაც თუთხმეტი წლის მეცადინეობით ხელში იგდეს უმჯობესი ჩვენი შავი ქვის მადნები, მზაკვრულად შეაფერხეს ფოთის ნავთსადგურის მოწყობა, მკვიდრ მრეწველებისთვის სარგები, და განიზრახეს მის მაგიერ საკუთარი კერძო ნავთსადგურის და ელევატორის გამართვა ქობულეთს, ჩვენის ვაჭრობა მრეწველობის უცხოეთისგან დასაჯაბნებლად ამ უცხოელების სასარგებლოდ. ბ. ზდანოვიჩი ათი წლის განმავლობაში ფოთის ქალაქს ებრძოდა, საშუალებებთა გაურჩევლად. სტამბით (სახელდობრ ნახეთ მისგან ხელმოწერილი მხილება, დასტამბული Батумскій Голосъ-ში 1908 წ. №№ 187 და 188) და მინისტრებთან მირთმეულ არძებში, აგრეთვე სხვა და სხვა სამმართებლო კომისიებში ბატ. ზდანოვიჩი ნიადაგ გერმანიელი მრეწველების ცილის წამებას ადასტურებდა: ფოთის ნავთსადგურის შენება საჭირო არ არისო, ფოთის ელევატორი ბ. ნიკოლაძის უსარგებლო ახირება არისო, ფოთის ქალაქის მართველობა ბოროტმოქმედებს. ფულებს ფლანგავს, მარტო ნიკოლაძის ჯიბის სქელებას ემსახურებაო. ამ „დონოსებს“ ყველას ბატ. ზდანოვიჩის ხელი აწერია.

ყველა ესევე ბრალდება ბ. ზდანოვიჩმა სახელმწიფო სათათბიროში შეატანინა და გამოათქმევინა თ. პროკოფი შარვაშიძეს. ბ. ზდანოვიჩის ხელით დაწერილი გახლდათ ის მოხსენება, რომელიც ამ თავადმა სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიას წაუკითხა და გადასცა, ფოთის ქალაქის გამგეობის საქმეების ქალაქის გამგეობის საქმეების მოულოდნელი რევიზია მოახდინეთ, რადგანაც ნიკოლაძემ სახელმწიფო ფული შეჭამა და გაფლანგაო. როგორც გემახსოვნებათ, ეს რევიზია შინაგან საქმეების მინისტრის (სტოლიპინის) ბრძანებით მოხდა 1909 დამდეგს: მან ცილისწამების სიმტყუნე დაამტკიცა. აი უდავო სათავე თ. პროკოფი შარვაშიძის მოქმედებისა. ორი წლის შემდეგ, 1911 წ. დასაწყისში, როცა სტოლიპინმა თავის ცოლის-ძმას, ნეიდგარტს, მიანდო ქალაქების მმართველობის გაბიაბრუება, ბიუროკრატიის სასარგებლოდ და ასამაღლებლად.

მოთმინება იქონიეთ, ბატონო რედაქციავ: ის გოდორი, რომელიც თქვენმა ამხანაგებმა და თანამშრომლებმა, ბატ. ზდანოვიჩმა, ელზენკირხენის საზოგადოების სასარგებლოდ და თანამშრომლობით დაწნა ჩემდა გადასაჩეხად, მალე ბევრს სხვა მოღვაწეს იმსხვერპლებს ჩვენში. რაკი ყალბი ქაღალდები და ნემეცური აგენტის დე-სუნდეციჩის ჩვენება დოკუმენტებზედაც, ექსპერტიზებზედაც უფრო სადასტურო ყოფილა, გულწრფელად ვისურვებ, ჩემზე უფრო მაგარი გულმკერდი ჰქონდეთ იმ უბედურებს, ვისაც მაგ გოდორში უკვრენ თავს გაგაჭირვებული საზოგადო მოღვაწენი“.

რაც შეეხება ჩემს ნალაპარაკევს ქუთათურ ვექილების ოთახში იგი ბ-ნ ზდანოვიჩის თაობაზე იმასაც მოგახსენებთ: ვახსენე, როგორც თ. პროკოფი შარვაშიძის ხელმძღვანელი. ვთქვი: ბ. ზდანოვიჩის ამგვარი საქციელი მით მწვავს გულს, რომ ორჯერ მაინც მიხსნია ის საშიშ ხიფათისაგან, მიუხედავად აშკარა პოლიტიკურის წინააღმდეგობისა ჩვენს შორის-მეთქი. ამას ესეც დავსძინე: ღმერთმა ნუ ჰქნას, და ერთხელ კიდევ რომ გაიბას ბ-ნმა ზდანოვიჩმა თავი მახეში, ხელახლავ ისე ვუშველი, როგორც უწინ მეთქი. კაცია და გუნება: სიკეთე მახსოვს, ავი კი ჩემს ხსოვნაში ფესვს ვერ იკიდებს. ამ თვისებით ვარ ბედნიერი და ძლიერი. „სამშობლო“.

ნ. ნიკოლაძე.

16 ვნისი 1916
დილი ჯიხაიში.

პოლიტიკური პარტიები ფინეთში

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება არჩევნები **სეიმის** (პარლამენტის) დეპუტატებისა, რის შედეგსაც შემდეგ წერილში გავაცნობ პატივცემულ მკითხველთ. საჭიროდ მიმაჩნია მოკლე დასურათება ფინეთში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა.

ყოველ თვალსაჩინო სოციალურ მოვლენას, რასაკვირველია, აქვს თავისი რთული მიზეზები, რითაც დაკავშირებულია ისტორიულ პირობების მიერ შექმნილ გარემოებებთან. ესევე ითქმის პარტიებზედაც, რომელთა წარმომშობი მიზეზები მჭიდროდ ჩაქსოვილან ერის წარსულსა და აწმყოში.

როდესაც ფინეთი სფერიგეთის სახელმწიფოს ჩამოშორდა (1809 წელს) და რუსეთის სახელმწიფოს შეუერთდა, ფინეთის ერი შეგნებულად და ენერგიულად შეუდგა ეროვნულ კულტურის აღორძინებას, პოლიტიკურ ავტონომიის განვითარებას და განმტკიცებას, რითაც ახალი ასპარეზი გაეხსნა მოღვაწეობისა და საშუალება მიეცა ეოცნება უკეთეს მომავლის შესაქმნელად. ეჭვს გარეშე, ფინეთმა რუსეთის ხელში თითქმის ერთი საუკუნე შეისვენა, რამაც საშუალება მისცა ეროვნულ-კულტურის აყვავებისა, პოლიტიკურ ავტონომიის განმტკიცებისა და პოლიტიკურ აღზრდისა უკეთეს სახელმწიფო ფორმის შესაქმნელად და შესათვისებლად. ამავე დროს მას თავი უნდა დაეხწია უცხო ელემენტების კანონიერ თუ უკანონო ბატონებისაგან, რომელთაც მეტად მძლავრი იარაღი ჰქონდათ ბატონობისთვის. ესენი იყვნენ ფინეთის გუშინდელი მფლობელნი, ფინეთში ჩამოსახლებული შვედები, რომელთაც დიდი პატივისცემა და კულტურული გავლენა ჰქონდათ მოპოვებული. მართალია ფინები დიდად არიან დავალებულნი შვედებისაგან, რომელთაგანაც აქვთ შეთვისებული დიდებული კულტურის მაგრამ ამავე დროს იგი როგორც მომწიფებული გათვითცნობიერებული და განთავისუფლებული. აღარ საჭიროებდა მათ წინამძღოლობას.

მართლაც და საკვირველი როგორ არ იყო, როდესაც ფინები, რომელთა რაოდენობაც 90 პროცენტს შეადგენდა მთელის ფინეთის მცხოვრებთა, დაქვემდებარებულნი იყვნენ გაცილებით მცირე რიცხოვან და ისიც ჩამოსახლებულ ელემენტებზე. ესე იგი შვედებზე. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი, ვიმეორებ, შვედების უმაღლესი კულტუროსნობა იყო. სახელმწიფო ენად გამოცხადებული იყო შვედური და ფინური, მაგრამ ნამდვილად კი პირველი ბატონობდა და, წარმოიდგინეთ აზნაურთა საკანონმდებლო პალატაში, კონსტიტუციის ძალით მხოლოდ შვედურ ენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი!.. მთელი მოწინავე ინტელიგენცია და წარჩინებული სახელმწიფო მოღვაწენი, როგორც შვედები, ისე ფინები, შვედურ ენას ხმარობდენ და სახელმწიფო ცხოვრებაშიაც ატარებდენ! ფინეთის ერის უკეთესი მერმისი მოითხოვდა ასეთ უსამართლო პირობების შეცვლას რისთვისაც საჭირო იყო ბრძოლა იმავე კულტურულ და ეროვნულ პოლიტიკის საშუალებით. ასეც მოხდა. პირველი ხმა პროტესტისა შვედების წინააღმდეგ გაისმა **ი. ხნელმანისაგან**, რომელსაც, როგორც დიდ მოაზროვნეს დიდი ნდობა და გავლენა ჰქონდა მოპოვებული წარსულ საუკუნის 50-ან წლებში ფინეთის მოწინავე წრეებში. მისი ხმა არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და თან და თან მოიკიდა ფეხი ეროვნულმა თვითშეგნებამ, რომლისაგანაც წარმოსდგა მძლავრი ეროვნული პოლიტიკური პარტია, რომელსაც დაახლოვებით 1890 წლებამდე **ფინომანების** სახელით ვიცნობთ. ფინომანების პარტია. როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, მიზნად ისახავდა ეროვნულ-ფინურ კულტურის აღორძინებას და პოლიტიკურ გაბატონებას საკუთარ მიწა-წყალზე.

დ. ჩიქოვანი

(დასასრული იქნება)

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

ბრუსილოვის არმიის მარცხენა ფრთა მედგრად განაგრძობს სამხრეთ გალიციაში წინ სვლას ღ ძალიან მალე შესაძლოა სტანისლავო ღ გალიჩიც ჩაიგდოს ხელში. ამ სტრატეგიულ ადგილების დაპყრობის შემდეგ ავსტრიელებს, რომელნიც დიდათ გამაგრებულნი არიან ზოლოტაია ლიპაზედ და ლვოვის მიმართულებით, ზურგიდან მოექცევიან და აიძულებენ მათ ეს ბუნებრივი სიმაგრეები დასტოვონ და უკან დაიხიონ.

ამავე დროს ლუცკის მიდამოებში შეჭრილ ჯარის მდგომარეობა, მას შემდეგ, რაც კაშოვკა-ტულევიჩის ხაზი რუსებმა აიღეს, იმდენად გაუმჯობესდა რომ რუსებს ადვილად შეუძლიათ წინ სვლა განაგრძოს და ბრძოლის ხაზი უფრო გააღრმაონ.

ცხადია, რუსეთის მხედრობა გალიციას სამხრეთით ბუკოვინიდან და ხოლო ჩრდილოეთით კოველ-ვოლინთან უტევს და დაიპყრობს კიდევაც, თუ რასაკვირველია გერმანელები დროზე ზომებს არ მიიღებენ და ჯარს არ მოაშველებენ.

ასეთია ახლა ერთის თვალის გადავლებით მდგომარეობა ბრძოლის ველზედ. რუსეთის დღევანდელი გამარჯვება თითქოს სწყვეტს გალიციის საკითხს. ერთხელ უკვე რუსეთის სისხლით მორწყული მიწა-წყალი ისევე რუსეთის ძლევამოსილ ჯარს უვარდება ხელში.

ამავე აზრისანი არიან თითქმის ყველა რუსი მიმომხილველნი.

პირადათ ჩვენთვის კი გალიციის ბედი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. საქმე ისაა, რომ გალიციის ბრძოლის ასპარეზი დამოკიდებულია იმ პოლონეთის დიდებულ სიმაგრეთა მიდამოზე, რომელიც ეხლა, საუბედუროდ, გერმანელთ უკავიათ.

გალიციაში შესვლა იმ დროს, როდესაც ბრესტი, გროდნო, ვილნო, კოვნო და სხვა მრავალი სტრატეგიული ადგილები მტრის ხელშია, მეტად სახიფათოა, რადგან ამ სიმაგრეებზეა დაყრდნობილი და ზურგ გამაგრებულ გერმანეთის ჯარს ყოველთვის საშუალება ექნება გზა მოუჭრას და მოსწყვიტოს საკვებ ადგილებს გალიციაში მომქმედი რუსის ჯარი.

სწორედ ეს გარემოება აიძულებს რუსეთის [illegible] ასპარეზი [illegible] უფრო [illegible] და პოლონეთს ისეთივე მთავარი ყურადღება მიაქციოს, როგორიც გალიციას.

თუ დავაკვირდებით გერმანელების მოქმედებას დავინახავთ, რომ შეტევის გზას სწორეთ პოლონეთის ბრძოლის ასპარეზზე აწარმოებენ. დანარჩენ ადგილებში იგი მხოლოდ ცდილობს შეაფერხოს და შეაჩეროს რუსეთის ჯარის წინსვლა. მათი მთავარი ყურადღება მიქცეულია ბარანოვიჩის და სმორგონს შუა მდებარე ბრძოლის ხაზზე. აქ წარსულ კვირას მათ გადულახავთ მდ. ნემანი სოფ. გნესიჩთან. ადვილი გასაგებია, თუ რათ ამოირჩიეს გერმანელებმა სწორედ ეს მიდამოები სამოქმედო ასპარეზად. სწორეთ აქ უმაგრებთ მათ ზურგს, ისეთი სიმაგრებით როგორც არის კოვნო, გროდნო, ვილნო, აქეთ აქვთ ლიდა-სლომიოს-ვილნოს რკინის გზები.

გუშინდელი ოფიციალი დეპეშა კვლავ იმეორებს, რომ ბარანოვიჩის მიდამოებში საშინელი ბრძოლაა გაჩაღებულიო. თუ აქ გერმანელებმა შესძლეს ბრძოლის ხაზის გარღვევა მაშინ თავის თავად ცხადია მეტად გაუჭირებს მოქმედებას, როგორც კალედინის არმიას, ისევე ბრუსილოვისას გალიციაში.

ვერ გაგვიგია თუ რად სდუმს დვინას ასპარეზი, და ბოლოს რუსეთის შტაბი აქ შეტევის გზას უნდა დაადგეს, რომ საშიშ მდგომარეობაში ჩააგდოს მარცხენა ფრთა გერმანელების ჯარისა.

თუ ჩვენ არაფერი ვიცით, სჩანს მთავარ სარდლის შტაბი ამას საიდუმლოდ ინახავს.

დასავლეთის ასპარეზი თითქოს კიდევ ახმაურდა. იმავე დროს ვერდენთან გერმანელებმა უფრო გააძლიერეს ცეცხლი და ალბად საერთო იერიშისთვის ემზადებიან.

კავკასიის ბრძოლის ველზე რუსებმა სძლიეს ოსმალთა ჯარს, წაართვეს რამოდენიმე გამაგრებული ადგილი და მრავალი ტყვეებიც წამოიყვანეს.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 25 თიბათვე. ოფიციალი, დასავლეთი ასპარეზი. ქვემო სტირის მიდამოებში, ჩარტორიისკის დასავლეთით, ჩვენმა ჯარმა უკან დასწია მტერი და ბრძოლით გოროდოკმანევიჩ-ოკონსკ-ზაგოროვკა - გრუზიატინის ხაზით წაიწია. გუშინ მანევიჩის მიდამოებში 75 აფიცერი და 2000 ჯარის კაცი დავატყვევეთ. ოპტოვოსთან ყაზახებმა იერიში მიიტანეს ავსტრიელებზე და აჰკუწეს. აქ დავლა დაგვრჩა. ახალი ცნობით ჩვენ დავიჭირეთ სოფ. ლეშნევკა და გრივა. მონასტერჟისკის აღმოსავლეთით. ჩვენი ჯარი შეიჭრა სოფ. გრეგოროვში და ათასი კაცი დაატყვევა. მდ. კორობეცის ხაზით სასტიკი სროლა და კონტრიერიშები ხდება. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა განელდა. ადგილ-ადგილ საარტილერიო ბრძოლაა. ბარანოვიჩის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი. ბაიბურთის მიმართულებით ზემო ქორობის მიდამოებში ჩვენ წინ წავიწიეთ.

ქართული იდეა

(დასასრული)

10

ქართული რასის სილამაზეზე უფრო დალაგებით ლაპარაკობენ.

რასიულ სილამაზის კიბის საფეხური ქართული სილამაზით ბოლოვდება.

ერთმა მეცნიერმა გაუშვირა ხელი აზიანს და სთქვა:

— თუ სადმე შეგხვდეთ ლამაზი, ხალხი იცოდეთ, რომ მათში ქართული სისხლი ურევიაო.

ყველაზე უფრო საიმედო მოწმეება.

ყველა ქვეყანათა დიდი მხედრობი: ევრიპიდე, ლორდ ბაირონი, თეოფილე გოტიე, სონ ვიქტორი, პუშკინი. იმღერიან ჩვენ სილამაზეზე.

ისტორია, რომ გულმავიწყი არ იყოს და შემთხვევით არ იწერებოდეს, ვინ იცის კლეოპატრას და მარიამ სტიუარტს, რა ჩრდილი დაადგებოდა თამარ-მეფის და მისი ქალიშვილის რუსადან დედოფალისაგან.

ქართველი ერიც გრძნობს თავის სილამაზეს. არც ერთ ხალხის ეპოსში არ არი ისეთი წარმტაცი აღწერა მზეთ უნახავის, როგორც ჩვენ ეპოსში, ხალხმა იცოდა სად იზრდებოდა მზეთუნახავი.

არის ლეგენდა თამარ მეფესთან ინდოეთიდან მოყავდათ ლომები, როცა მის სილამაზეს შეხედავდენ თვინიერდებოდენ დედოფლით მოჯადოებულნი. შემდეგ ეს ილიამ „განდეგილში“ გამოიყენა:

თქმულა რომ მხეციც გაავთრებული ..
. . . . და სხვა...

კაცობრიობას მხეცს ვინ შეადარებს, მაგრამ მისი გულის მოგება უფრო ძნელია ხოლო ქართულმა სილამაზემ ქნა ეს...

11.

ყველაფერი ეს იყო... ვიყავით ბრწყინვალენი გუშინ.

დღევანდელ საქართველოზე, იმ პოეტმა, რომელსაც ყველაზე უფრო უყვარდა სთქვა ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო..

ეს სიტყვები უფრო მძიმეა, ვინემ გეთსიმანიის სევდა.

მეორე მწერალმა Bâton-მა მთელი თეორია შეჰქმნა საქართველოს დეკადანსის ასახსნელად, ის ამტკიცებდა, რომ ომიანობის დროს საუკეთესო ქართველები იხოცებოდენ. შინ რჩებოდენ ჯაბანები და კუტები, რომელთაც მოაშენეს დღევანდელი ქართველობა, ვაგლახ, არი ზარი და უბედურება.

ჩვენში დადიან დღეს **ჩიყვიანი კრეტინები**, დადიან არხეინად და ანიავებენ ერის დიდებას.

და ჯირითობენ ყიზილბაშები და ხმა არავის შესწევს რომ შეუძახოსს. ერის ქურუმი წინასწარმეტყველი კვდება მათი ხელით, ყოველ გასავლელ გზაზე, ყოველ გზა ჯვარედინზე სდგანან ისინი და ნიავდება ერის საუკეთესო ტრადიციები, არ არის სიწმინდე, რომ საწამლავი არ გადაასხან, არ არის სიწმინდე იმათ არ გააორგულონ.

და ვხედავთ ჩვენ დღეს ყველანი მიდიან სამშობლოს დასაცავად. მიდის დიდი და პატარა, ზარბაზნებით, თოფებით, ნიჩაბით, რომ დაიცვან, რომ დაიცვან ერის სიწმინდე.

არ არი ბედნიერება უტკბესი, როგორც სიკვდილი სამშობლოსათვის!

ჩვენ ამას ვკითხულობთ სხვების სახეზე, ჩვენ ამას ვკითხულობთ ჩვენ ძველ წიგნებიდან. ჩვენ წაგვართვეს რაც წმიდა გვქონდა, ჩვენ წაგვართვეს სამშობლო!..

12

დღეს სხვა ჟამია. თლეს უნდა მოკვდეს „მოხუცი მოგვი“ ერის ცდუნების. მტკიცება, რომ მშვილდ ისრის დროიდან ცეპელინების დრომდი ხელმარჯვეთ სცემს ქართველის მახვილი. კიდევ შენახულია სიმამაცე, ჩვენ უნდა გვეჯეროს იმისი სასწაულის, ჩვენ იმას უნდა ველოდეთ.

ვერც სენმა, ვერც სიღარიბემ და სიბერემ ვერ გატეხა ქართველი ერი, ის ისევ მრავლდება, ისევ ესიზმრება მზეთ უნახავი, ჩვენ დროში, რათა კოსმეტიკა ხელოვნება გახდა ის უიმისოდაც ინახავს რასიულ სილამაზის უპირატესობას.

დროა ჩვენც დავიწყოთ „თეთრ სისხლზე“ ლაპარაკი და კეთილ შობილ სახელზე, ვიცნოთ ჩვენი თავი.

დროა მოვაგროვოთ ყველა საბუთები, რაც ჩვენ ინდივიდუალობას განამტკიცებს, რაც ამტკიცებს ჩვენ სიცოცხლის უფლებას, ჩვენ ეს კონგრესზე წარსადგენათ კი არა, ჩვენი საკუთარ თავის საცნობლად გამოგვადგება.

ჩვენ დავკარგეთ ჩვენი სახე, ჩვენ უნდა ვნახოთ იგი.

საქართველოს აღორძინება მაშინ დაიწყება, როცა ვნახავთ და შევისწავლით ჩვენ კვალს და ისტორიასა. ჩვენ ცხელ ქალდეადან გამოვედით, ჩვენ მზით მოთენთილი ვართ. ღმერთმა იმიტომ მოგვცა საკუთარი სახე და გაგვიგრძელა სიცოცხლის ჟამი, რომ საკუთარი გზით მივდიოდეთ. ჩვენი ინტელიგენცია მოწამლულია „რუსულ კალმიკურ სლისტობით“.

ან უნდა მოკვდეს, ან უნდა გარდაიქმნას.

უნდა გავხდეთ ღირსი ჩვენი ხალხის და ამისათვის ბევრია საჭირო.

ჩრდილოეთის პოლიუსიდან—ტროპიკამდე დიდი მანძილია; ერთნაირი ყვავილები ვერ გაიზრდებიან.

ნუ შევნატრით იმ ბერს, რომელიც ილიუზიით საზრდოობდა და ესპანიაში ეძებდა მეორე საქართველოს.

გავიგოთ: **რომ სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა!..**

გავიგოთ, რომ საქართველო მოწვეულია მსსოფლიო მსახურებისთვის როროგორც მხედარი, და მხატვარი.

წიგნში, რომელიც მე კი არ დამაქვს, რომელსაც მე თვითონ დავყვები სწერია: „ყველაფერი, რაც მირბის არ მირბოდა განა ამავე გზაზე? არ მიდიოდა განა ყველაფერი, არ ხდებოდა განა ყველაფერი, არ იყო განა ყველაფერი, რასაც შეუძლია მოვიდეს? განა არ უნდა დავბრუნდეთ, დავბრუნდეთ ნაღველით, რომ ხელმეორეთ კიდევ ვირბინოთ, სხვა გზაზე, იმ გზაზე, ზევით რომ მიდის? განა არ უნდა, რომ ამ რისხვით მრისხანე გზაზე ჩვენ მარადის ვბრუნდებოდეთ?..

ჩვენ უნდა დავბრუნდეთ ძველ გზაზე. და გზა იგი მოკლეთ მოჰრის მომავლის გზას კიდევ უფრო შორს წაგვიყვანს... და ამ გზაზე ჩვენ წავიკითხავთ ქართულ იდეას, იგი დაწერილია, მხოლოდ უნდა წავიკითხოთ დაწერილია ქართული იდეა, გორგასლანის ხმლით და რუსთაველის ფოლადის ლექსით. ეს იდეა ასულდგმულებდა ძველ ქართველებს იერუსალიმში, წმ. ათონზე, ინდოეთზე, სპარსეთზე, ვიზანტიაზე ლაშქრობის დროს.

და უნდა ადგეს იდეა ქართული, მანამდი ჩვენში მკვდარი იქნება სული. ეს რაც დავწერე სამარცხვინო ფელეტონია, იმასთან რაც უნდა ითქვას, იმღეროს, დაიწეროს.

და ველით ჩვენ ხმას:

— კათაკმეველნო განვედით!..

მართლმორწმუნე და ნამდვილი ქართველები უნდა შევუდგეთ **ლიტურგიას** თავის თავისას...

ტ. ტაბიძე.

პეტროგრადი, 25 თიბათვე. ოფიციალი, დასავლეთი ასპარეზი. გენ. ბრუსილოვის ჯარი მდ. სტოხოდის მიუახლოვდა, მიუხედავად მტრის მკაცრი წინააღმდეგობისა, მტერი ყველგან უკუ ვაგდეთ. ნებლის სამხრეთით მტერი გავდევნეთ. წარსულ ღამეს ჩვენი ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა მტერს რუდას მიდამოებით და მრავალი ჰუნგრელი გუსარი აჰკუწეს. დილით ჩვენმა ჯარმა სოკულის ჩრდილოეთით სტირსა და სტოხოდს შუა გამაგრებული ადგილები აიღო. აქ 21—24 თიბათვემდე 300 აფიცერი და 12 ათასი ჯარის კაცი დავატყვევეთ. დიდძალი დავლა ვიგდეთ ხელთ. ხენ. ევერტის ასპარეზით მრავალ ადგილას ბრძოლა გაჩაღდა. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლაა. მტერი სასტიკი კონტრ-იერიშებით მოდის.

პეტროგრადი, 26 თიბათვე. ოფიციალი, დასავლეთი ასპარეზი. გენ. ლეშის შეტევა ქვემო სტოხოდზე გრძელდება. მტერი უწესოდ უკან იხევს. ბრძოლით ავიღეთ სოფელი გულევიჩი და კაშევკა. გუშინვე მკაცრი ბრძოლის შემდეგ გენ. ლეჩიცკის ჯარმა სამხრეთ გალიციაში დელატინი დაიპყრო. აქ დავლა დაგვრჩა.

ბარანოვიჩის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლაა.

კავკასიის ასპარეზი. 24—25 თიბათვეს პლატონის დასავლეთით მტერი მოვიგერიეთ. ქ. აზრუმის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე გამაგრებული ადგილი იგდო ხელთ. დავატყვევეთ 67 აფიცერი, ჯარის უფროსები და 799 ჯარისკაცი.

პეტროგრადი, 26 თიბათვე. ოფიციალი, დასავლეთი ასპარეზი. ბუკოვინაში კიმპოლუნგის დასავლეთით მტერი უკან დავწიეთ, ბრძოლის ველზე მრავალი გვამი დასტოვეს. დავატყვევეთ 7 აფიცერი და 530 ჯარისკაცი. 10—24 თიბათვემდე ხელთ ვიგდეთ 674 აფიცერი, 30,875 ჯარისკაცი, 18 ზარბაზანი, 100 ტყვიისმფრქვეველი და 14 ყუთი ტყვიაწამალი.

შავი ზღვა. მტრის წყალქვეშმა საგოსპიტალო გემი „ვპერიოდი" ჩასძირა. 7 კაცი დაიღუპა, სხვა გადავარჩინეთ.

კავკასიის ასპარეზი. 25 თიბათვეს არზრუმის დასავლეთით ჩვენ დავატყვევეთ 60 აფიცერი, 4 ექიმი და 1,050 ასკერი, დაგვრჩა დავლაც.

—

პარიჟი, 24 თიბათვე. ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე ღამის განმავლობაში დრო-გამოშვებით სროლაა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის სიმაგრეებთან ბრძოლას მკაცრი ხასიათი აქვს. 8 საათ. ღამე მტერი ზოგ სიმაგრეებში შეიჭრა, მაგრამ მალე განვდევნეთ.

მფრინავთა მოქმედება. გაუმაგრებელ ქ. ლიურში მტრის მფრინავებმა 11 ყუმბარა ჩამოყარეს. ხალხის მსხვერპლია. ფრანგებმაც სხვა და სხვა ადგილებში 40 ყუმბარა ჩამოაგდეს.

პარიჟი, 25 თიბათვე. ოფიციალი. სომის ასპარეზზე უამინდობაა. საღამოთი ფრანგებმა წინ წაიწიეს ესტორეს აღმოსავლეთით. ვერდენის ჩრდილოეთით „304" მაღლობთან, ენ, სუვილ და დანლუსთან მკაცრი საარტილერიო სროლაა. სომის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი სოფ. ერდეკურზე მივიდა იერიშით. ამის შემდეგ ინგლისელებიც ამოქმედნენ და ტრონზე იერიში მიიტანეს. კონტ-იერიშის დროს გერმანელებმა ძლიერ იზარალეს.

მაასის მარცხენა ნაპირზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა, სხვა ადგილებში ჩვეულებრივი სროლაა.

პარიჟი, 26 თიბათვე. სომის ორთავ ნაპირებზე ღამემ მშვიდად ჩაიარა. ვერდენის ასპარეზზე გერმანელები გამუდმებით შატანკურ-ფლერის სექტორს ზარბაზნებს უშენენ. ვოგეზებში გერმანელებმა იერიშები მოიტანეს, მაგრამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ლონდონი, 24 თიბათვე. ვარნაპეს მონტობანის ტყეს და ლაბუასელს მტერმა ძლიერი იერიშები მოიტანა. ლაბუასელის აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლის შემდეგ მტერი ძლიერ დავაზარალეთ, ჩვენ 1,000 იარდით წინ წავიწიეთ. მტრის არტილერია ლოოსთან დიდ მხნეობას იჩენს. ანკრსა და მონტობანს შუა მკაცრი ბრძოლაა ტიენვილის ჩრდილოეთ-დასავლეთით მტერმა 200—300 იარდით წინ წაიწია.

ლონდონი, 25 თიბათვე. მიუხედავად მტრის მკაცრი წინააღმდეგობისა, ჩვენ წინ ვიწევთ. ტიეპვალის სამხრეთით იერიში მივიტანეთ „ლეიპციგის რედუტზე", რომელიც 20 თვის განმავლობაში მტერს ძლიერ გაუმაგრებია. ბევრს ადგილას ჩვენ წინ წავიწიეთ. კონტალ მეზონის აღმოსავლეთით მტერმა უკან დაგვწია, მაგრამ შემდეგ ისევ დავიბრუნეთ ადგილები ხელთ ვიგდეთ ტყვე და დავლა.

რომი, 24 თიბათვე. ოფიციალი. ადიჯეს და ასტიკოს შუა მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. მტერი მონტემაჯიოს ზარბაზანს უშენს. პოზინის ჩრდილოეთით მტერი მკაცრ წინააღმდეგობას გვიწევს. სეტეკომუნთან ჩვენმა ჯარმა საარტილერიო ბრძოლა გააცხოველა.

რომი, 25 თიბათვე. ოფიციალი. ლედროს მიდამოებში ჩვენმა არტილერიამ სროლა გააცხოველა. ლაგარინოს ველში მტერი მძიმე ზარბაზნებიდან ჩვენ სიმაგრეებს უშენს. მემა ასტიკოლოში ჩვენი ჯარი გამაგრდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა მდინარე იზერის ასპარეზზე

გაზეთ „პოლიტიკენს" ამსტერდამიდან ატყობინებენ: როგორც საზღვრებიდან იტყობინებიან მდ. იზერის ასპარეზზე სასტიკი სროლა დაიწყო, რომელმაც საღამოზე უმწვერვალეს ხაზამდე მიაღწია. ინგლისელები განსაკუთრებულ ყურადღებას და ენერგიას ლომბარტიზე და ნიპორტის ადგილებს შუა იჩენენ.

მაიორი მორატი მოკავშირეთა შესახებ

ბერლინიდან სტოკჰოლმში იტყობინებიან: გამოჩენილი სამხედრო კრიტიკოსი მაიორი მორატი გაზ. „ბერლინ. ტაგებლატში" სწერს: მეომართა ჯარები ყველგან კრიტიკულ მდგომარეობას განიცდის. დღეს გერმანეთის მტრები, როგორც ჩვენ უკანასკნელ ძალღონეს იკრეფავენ.

პატიოსნობა მოითხოვს გამოვტყდეთ, რომ მოკავშირეებმა საუცხოვოდ მოაწყეს ომის პირობები, რაზედაც ყველაფერია დამოკიდებული. ესენი გერმანეთის გაკვეთილებით სარგებლობენ. მათ ჰყავთ დიდძალი ცოცხალი ძალა და წყალქვეშა ნავები, რაც ხელს უშლის გერმანეთს, რომ ეს ომი გამარჯვებამდე მიიყვანოს. ჩვენის მხრივ სიბრმავე იქნება, რომ ორი წლის ბრძოლის შემდეგ ეს მდგომარეობა შეუმჩნევლად დავტოვოთ.

საბერძნეთის ახალი პოლიტიკა.

ზაიმისის კაბინეტი პოლიციის და ჟანდარმერიის შეცვლას განაგრძობს. ზაიმისის ამგვარ ზომებს ზოგი გაზეთი იმით ჰხსნის, რომ მთავრობას უნდა ლიბერალები თავისკენ გადიბიროს, ან კიდევ მოკავშირეთა ახალი მოთხოვნილებისა ეშინიან.

სამხედრო მინისტრმა გენერალმა კალარისმა ჯარის უფროსებს ბრძანება გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ მათ მხოლოდ მთავრობის ბრძანება უნდა შეასრულონ. მთავრობა დემობილიზაციას აჩქარებს. განზრახულია თიბათვის გასვლამდე ახლად გაწვეული ჯარი დაიშალოს.

ინგლისის გეგმა.

გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი" ამსტერდამიდან იტყობინება, რომ ინგლისი ნეიტრალ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას მართავს, იმის შესახებ, რომ როგორმე სუმთლად ნეიტრალ სახელმწიოებიდან შესწყვიტონ საჭირო საგნების შეტანა გერმანეთში და ავსტრია-უნგრეთში. როგორც გადმოგვცემენ ინგლისი პირობას იძლევა, რაცკი მეტია ნეიტრალ სახელმწიფოში თვით შეისყიდოს, რომელსაც მოკავშირეთა შორის გაანაწილებენ.

გარდა ამისა ინგლისის მთავრობა იმ პირობასაც სდებს, რომ საქონელი ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებით უნდა გადაიზიდოს; ხოლო უკანა გზაზე ამავე გემებით უნდა ინგლისიდან ნეიტრალ სახელმწიფოებში ინგლისის საქონელი გადაიზიდოს.

პროფ. იასტროვი გერმანეთის მომავალზე.

გამოჩენილი სოციოლოგი ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი იასტროვი ფრანკფურტის ეკონომიურ საზოგადოებაში მოხსენებით გამოვიდა სადაც შეეხო მოკავშირეთა მეორე ეკონომიურ ყრილობას პარიზში. იასტროვი ყრილობის დადგენილებაში ჰხედავს ახალ სავაჭრო ომს, რომელიც თანამედროვე ომის შემდეგ უნდა დაიწყოს. ამ მეორე ომმა შეიძლება დიდი ვნება მოუტანოს გერმანეთს მომავალში.

ამისათვის ზავის პირობების შეკვრის დროს გერმანეთმა დაჟინებით უნდა მოითხოვოს, რომ არც ერთმა მხარემ საქონელს ბოიკოტი არ უნდა გამოუცხადოს.

იასტროვმა ბოლოს განაცხადა, რომ ამერიკა გერმანეთის წინააღმდეგ დიდ მეტოქეობას გასწევს.

რუსეთის ასპარეზი.

სტოხოდსა და სტირშუა ამ უკანასკნელ დღეებში სასტიკი ბრძოლაა. ამ ადგილას გერმანელებმა ძლიერ ძალას მოუყარეს თავი იმ მიზნით, რომ როგორმე რუსების ჯარი სტირის მეორე ნაპირზე დასწიოს, რომ სტოხოდთან თავიანთი ბრძოლის ხაზი შეასწოროს. აქ მოზიდეს დიდძალი არტილერია და ტყვია წამალს არ ზოგავენ. ხშირად აქ გერმანელები გაზებსაც კი ხმარობენ.

როგორც ამბობენ ამ ომის დროს ბრძოლას რუსეთის ასპარეზზე ისეთი სასტიკი ხასიათი არა ჰქონია, როგორც სტირსა და სტოხოდს შუა. ბრძოლა სულ არტილერიის საშვალებით ჰხდება. მიუხედავად ბრძოლის მკაცრი ხასიათისა ამ ასპარეზზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

ბალკანეთი.

ათინიდან იტყობინებიან: საბერძნეთის მთავრობამ სოფიის კაბინეტთან მოლაპარაკება გამართა იმის შესახებ რომ ბულგარეთმა ნება დართოს მის მიწა-წყალზე რუმინეთიდან ჯარში გასაწვევ ბერძნებმა გამოიარონ. ისინი რუმინეთის მუდმივი მცხოვრებნი არიან.

მოლაპარაკება ახლო მომავალში სასურველად დათავდება.

საბერძნეთის ბლოკადა.

ათინელი ინგლისის ელჩმა პასუხი გასცა ბერძენ გემების პატრონთა კავშირს, სადაც მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ მოკავშირეთა ფლოტმა საბერძნეთის ნავთსადგურებს ბლოკადა მოხსნა.

საფრანგეთის პრესა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

პოლიბი „ფიგაროში" სწერს: ავსტრია და გერმანეთი მოკავშირეთა მიერ გარშემორტყმულია. მათი ექსპედიცია სერბეთში, მაკედონიაში და ვერდენთან მოკავშირეებმა შეაჩერეს და თვით შეუტიეს, რასაც ერთგვარი გამარჯვება მოჰყვა რუსეთისა და იტალიის ასპარეზზე.

„პტი პარიზიე"-ში პოლკოვნიკი რუსე სწერს: გერმანეთმა რომ მთელი ქვეყანა დაარწმუნოს, რომ მას კვლავ ძალა შესწევს, მან ვერდენთან არ გაანელა შეტევა, პირიქით ამ ადგილას გერმანელები მკაცრ შეტევას განაგრძობენ.

წყალქვეშა ომი.

ჰოლანდიიდან იტყობინებიან: გერმანეთს განზრახვა აქვს ისარგებლოს მექსიკასა და შეერთებულ შტატებთან ჩამოვარდნილ უთანხმოებით და კვლავ განაახლოს წყალქვეშა ომი.

ხმები დადის ვითომ გერმანეთს შემუშავებული აქვს ნოტა შეერთებულ შტატებთან იმის შესახებ, რომ იგი კვლავ წყალქვეშა ომს მიჰმართავს, რადგანაც ინგლისმა გერმანეთის ბლოკადა გააძლიერა. თუ ეს ხმები გამართლდნენ, მაშინ წყალქვეშა ომის დაწყება ტირპიცის გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს.

დეპეშა

(„საქართველოს" საკუთარ კორესპ.)

ჰელსინგფორსი.

ფინეთის კონსტიტუციის ძალით, ფინეთის სეიმის დეპუტატთა არჩევნები დაიწყო სეიმი შეიკრიბება ომის დასრულების შემდეგ. დაწვრილებით წერილით გაცნობებთ.

დ. ჩიქოვანი.

ახალი ამბავი

◆ **მათ უმაღლესობის დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის სახელწოდების** დღეს, ხვალ სამხედრო ტაძარში საქართველოს ექსარხოსია მწირველი.

◆ **ქუთაისის გუბ. თავ.-აზნაურთა** წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე ამ ჟამად ესენტუკში სამკურნალოდ.

◆ **კათალიკოსის მოსვლა.** კვირას 26 თიბათვეს თბილისში სომეხთა კათალიკოსი გეორგ მეხუთე ჩამოვიდა.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** გუშინ სომეხთა კათოლიკოსმა გევორქ მეხუთემ ინახულა. ექსარხოსმა ეპისკოპოსებ ანტონისა და დომიანეს ერთად გუშინვე გადუხადა დარბაზობა კათალიკოსს.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** ზაფხულს ბორჯომში გაატარებს.

◆ **ვ. აბაშიძის სურათი.** რედაქციამ მიიღო პეტროგრადში გამოცემული ა. არაბიძის მიერ ვას. აბაშიძის სურათი. არტისტი გადაღებულია სხვა და სხვა როლებში. ძვირფას ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 1 მან. ნახევარი. სურათები ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში იყიდება.

◆ **ვაზის წამალი.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა 13 ვაგონი დაფქვილი გოგირდი. ყიდვა ყოველ დღეს შეიძლება.

◆ **საკვები.** ქალაქის გამგეობამ კიდევ მიიღო 38 ვაგონი ფქვილი. რამდენიმე დღის განმავლობაში ერთი თვის სამყოფ ფქვილს მოელის, ასე რომ ფქვილის მხრივ კრიზისი ჯერ-ჯერობით აშორებულია.

◆ **დახმარების დარიგება.** 24, 25 და 26 თიბათვეს, სათადარიგო ჯარის კაცთა ცოლები და დედმამა „პაიკის" მისაღებად შეეგროვებინათ მცხეთაში იყვნენ ძუძუმწოვარა ბავშვებით ხელში ათი-ოცი ვერსის სიშორიდგან მოსულნი. მშიერნი მწყურვალნი სამი დღე ელოდა ზოგიერთი ამ ფულს. სახლი არსად იყო, პური ვერ იშოვნეს მცხეთაში. ამ გაჭირვებით დარიგდა ფული. ბევრს თითო მანეთი მაინც დაეხარჯა მარტო გზის ქირად. საჭიროა მთავრობა ხალხს ახლო ედგეს.

◆ **მეფუტკრეობის კურსების** მსმენელნი რიცხვით 62 კაცი, კვირას, 26 თიბათვეს, მცხეთას გაემგზავრნენ დეკ. ალ. ჯალიაშვილის სკებისა და საერთოდ მეფუტკრეობის საქმის გასაცნობად. მცხეთაში კურსისტებს თვით მ. ჯალიაშვილი შეხვდა და ახსნა-განმარტებას თვითონვე აძლევდა. შემდეგ კურსისტებმა დაათვალიერეს მცხეთის სიძველენი და გუშინ დაბრუნდნენ თბილისს. კურსებზე მღვდელ-მსახურნი რიცხვით 30 სული უკვე დათხოვნილ იქნენ მეცადინეობიდან, ხოლო მასწავლებელთა კურსები გასტანს 15 მკათათვემდე.

◆ **კოჯრის გზაზე მოკლულ** ანდრონიკაშვილის ღვინის საწყობის მსახურის გიორგი აბელაშვილის ცხედარი კვირას 26 თიბათვეს დაკრძალეს. დაკრძალვას მრავალი მუშა ხალხი და ღვინით მოვაჭრეთა მსახურნი დაესწრნენ.

◆ **ქალაქის საეკონომიო** საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე განხილულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა. შემოსავალი ნავარაუდევია 38 ათას მანეთად, ხოლო გასავალი 31133 მან. წმინდა მოსავალი 6856 მან. 22 კ.

◆ **საფაბრიკო და საქარხნო** საეკონომიო საზოგადოების წევრად ჩაეწერა სულ 57 ქარხნისა და მრეწველობის მწარმოებელი 6 ათას მოსამსახურეთი.

◆ **ქ. შ. წ. კ. საზოგადოების** სოფ. ვარიანში გორის მაზრა. ი. გოგებაშვილის სახელობის სკოლაში მომავალ სამოსწავლო წლიდან მეორე მასწავლებელს იწვევს გამგეობა.

◆ **დაბრუნდა** თბილისში საქართველოს მონასტრების მოწესრიგე არქ. ნაზარი, რომელსაც ტიმოთეუბნის მონასტერი, ბორჯომის ხეობაში, დაუთვალიერებია.

◆ **სასანიტარო კომისიამ** დაათვალიერა ვერის განაპირა ადგილები და ანტისანიტარულ მდგომარეობაში ნახა ვერის ბაღები „ედემი" და „ფანტაზია". სამზარეულო უსუფთაო მდგომარეობაში, ქვაბები მოუკალავი და სანოვაგეს მსახურთა ბინაში ინახავდენ. „ფანტაზიაში" უვარგისი ხორცი და ყველი მოსპეს.

◆ **საკულტურო სატეხნიკო კურსებზე** ინჟ. ვინოგრადოვისა შინაურ მეურნეობის გასაცნობად ფრინველისა და კურდღლის მოშენების საქმეს შეასწავლიან მსმენელთ.

◆ **ქართლის ამბ.** ცნობით თბილისის ბაზარზე ხილისა და ბოსტნეულის მაზანდა დაახლოვებით იყო: კახური ატამი 1 ფუთი 9 მან., სამტრედიის ატამი 5—6 მ., ვაშლი 3 მ., ალუბალი 3 მ. 50 კ., მსხალი 3—4 მ., ნამყენი ტყემალი 2 მ. 50 კ., პამიდორი 1 მ. 20 კ., კიტრი ასი ცალი 2 მ., კომბოსტო 1 მან.

თიანეთი.

კვირას, 19 თიბათვეს მოხდა ერწოთიანეთის რაიონის მცხოვრებთა საერთო ყრილობა აუარებელი ხალხის თანადასწრებით, რომელმაც დაადგინა დაარსოს კოოპერატიული მაღაზია. მსურველი წევრობისა ბლომად გამოჩნდა. უკვე საგრძნობი ფული შეგროვდა. კრებაზე საჭირო ახსნა-განმარტებას იძლეოდენ: მღ. ჯინჭველაძე, ვაშაძე, გრ. ხერხეულიძე, სვ. მადუსაშვილი და მიხ. ბებნიაური.

— შაბათს, 18 თიბათვეს აქაურ „ლესნიჩის" სახლში შეიჭრა ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი გაძარცვის განძრახვით, მაგრამ, ვინაიდგან თვითონ პატრონი—აბაზაძე არ დახვდათ სახლში, ხელცარიელნი დაბრუნდნენ უკან. აქ საერთოდ გამრავლებულია ყაჩაღთა თარეში, რომელთა თავგასულობასაც არ უჩანს ბოლო.

ქუთაისი.

— ოზურგეთის ქალაქის მოურავი დეპეშით ატყობინებს ქუთ. გუბერნატორს, რომ მეპურეები გაიფიცნენ, ქალაქში პური აღარ ცხვება, თხოულობენ ნიხრის მომატებასო.

— ქუთაისის გუბერნატორმა დეპეშით სთხოვა კავკასიის სანოვაგის მომწყობ რწმუნებულ შაშკოვსკის: რადგანაც ქუთ. გუბერნიაში უსიმინდობის გამო დიდი გაჭირვება არის, მიეცეს რიგს გარეშე სად. ელხოტოვიდან ტრ. მეძმარიაშვილს 18 ვაგონი და ბ-ნ ბაზაძეს 45 ვაგონი სიმინდის მოსატანათ. პურის ფქვილისთვის კი, კაკიტელაშვილს 22 ვაგონი როსტოვიდან.

— ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამათ დიდძალი პარკი შემოდის. პირველი ხარისხის პარკი ღირს 38 მან. მეორე —37 მან., მესამე—36 მან.

—

ლაგოდეხი. ყველაფერი მამასისხლად გახდა; ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს, შაქარი გადამალეს, პურის ნაკლულევანებამაც თავი იჩინა.

— 17 თიბათვეს ვიღაც ბოროტმა ადამიანმა ცეცხლი წაუკიდა იაროვის თამბაქოს ფარდულს. საშინელმა სტიქიონმა შთანთქა აგრეთვე შიხაშვილის ფარდულიც. ზარალი 5,000 მანეთს აღემატება.

— „შრომა ლაგოდეხის" სცენის მოყვარეთა წრე ამ ახლო მომავალში აპირებს წარმოდგენის გამართვას; წარმოდგენილი იქნება „მეზობლები" რამიშვილისა.

ს. შრომა. პურისა და ქერის მოსავალი კარგია, ხეხილსაც ბლომად ასხია.

ს. კავშირი. ადგილობრივ კოოპერატიული დუქნის „იმედის" საქმე გამოკეთდა. საქმეს სათავეში ჩაუდგა ახალი გამგეობა, რომელიც დიდ ენერგიას იჩენს და თითქმის ცარიელი დუქანი გაამსეს საქონლით.

ქართ. დრამ. საზ. კრება

კრება შაბათს, 25 თიბათვეს გაიხსნა ახალ კლუბის დარბაზში გ. დ. ქურულის თავმჯდომარეობით. კრებამ პირველად ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებული ირ. ევდოშვილის, ვლ. დარჩიაშვილის, ალ. შიხინოვის და ალ. ყიფშიძის ხსოვნას. კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ახალ წევრთა უფლებათა შესახებ. კრება დაეთანხმა გამგეობის აზრს, რომ ახლად შესულ წევრთ ყოველგვარი უფლებანი ენიჭებათ მეორე წლიდან. შემდეგ მოსმენილ იქმნა ვრცელი მოხსენება დამსახურებულ მსახიობის ვალ. გუნიას იუბილეის შესახებ. გამგეობის აზრით ამ დღესასწაულში უნდა მიიღოს მონაწილეობა მთელმა საქართველომ ვინაიდან ვალ. გუნიას იუბილე ქართულ თეატრის დღესასწაულს შეადგენს. კრებამ აირჩია საიუბილეო კომიტეტი რომელმაც ამ მოკლე ხანში უნდა მოიწვიოს გარეშე პირნიც. ვ. გუნიას ნიჭის თაყვანის მცემელნი რომელთა მონაწილეობითაც არჩეულ იქმნება საგანგებო მოწესრიგე კომიტეტი. საიუბილეო კომიტეტში მოჰყვნენ: კნ. ა. მაჩაბლისა, ვას. აბაშიძე, ილ. ზურაბიშვილი, სანდრო შანშიაშვილი სოლომონ ახვლედიანი და კონსტ. შათირიშვილი. შემდეგ მოსმენილ იქმნა ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წინადადება ერთი დასის შედგენის შესახებ აქა და ქუთაისში· კრება დეეთანხმა გამგეობის მოხსენებას და უარჰყო ტეხნიკურ მიზეზთა გამო ეს წინადადება. მოსმენილ იქმნა გამგეობის მოხსენება ახალ პენსიონერების შესახებ. დღემდე საზოგადოების პენსიონერებათ არიან: ვ. აბაშიძე, ქ-ნი საფაროვ აბაშიძისა და კ. მესხის მეუღლე. ახლა პენსიონერებად უნდა ჩაირიცხნენ ვალ. გუნია და ვლ. მესხიშვილი, ხოლო ავადმყოფ არტისტ-რეჟისორს ვ. შალიკაშვილს დეენიშნა და დახმარება წლიურად 600 მანეთი. კრებამ დაადასტურა გამგეობის მოხსენება. ვალ. გუნიამ საჯაროდ განაცხადა რომ იგი იუბილეის შემდეგ, მოქანცულობისა და მოხუცობის გამო სტოვებს სცენას. დასასრულ არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია ისევ ძველ წევრთაგან. კრება $1^{1}/_{2}$ საათზე დაიხურა.

ალ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო

სამძიმრის დეპეშები

ბაქო. უღრმესად დამამწუხრა ძვირფასი საშას უდროოდ გარდაცვალებამ. ქართველმა საზოგადოებამ მასში დაჰკარგა ხალხის გულწრფელი ჭირისუფალი, იშვიათი მოღვაწე, თითქმის ერთად ერთი კალმოსანი, ჩვენი ზნე-ჩვეულების გადმომცემი. მიიღეთ ჩემი მეგობრული თანაგრძნობა აუნაზღაურებელ დანაკლისის გამო.

კ. მესხი

ცხინვალი. სამძიმარს ვუთვლით განსვენებულ ალექსანდრე ყიფშიძის ჭირისუფლებს.

ელიზბარ მაჩაბელი.

სამძიმრის წერილი

მწარედ დამალონა საუკეთესო, დაუღალავ ეროვნული მუშაკის ალექსანდრე ყიფშიძის—ფრონელის უეცრად გარდაცვალებამ; დაჰკარგა ჩვენმა გლეხობამ ძვირფასი მოსარჩლე და ჭირისუფალი; ვიზიარებ ამ დიდი დანაკლისის გამო „საქართველოს" რედაქციის მწუხარებას.

გრ. საქარიქედელი.

—

ღრმა მწუხარებაში ჩამაგდო ჩემი სიყმაწვილის მეგობრის, ძვირფასი ალ. თევ. ყიფშიძის უდროო და მოულოდნელმა გარდაცვალებამ. ვუერთებ ჩემს ღრმა მწუხარებას ყველა შეგნებული ქართველის მწუხარებას ძვირფასი საზოგადო მოღვაწის საშას გარდაცვალების გამო. საშას დაკარგვით სამშობლომ დაჰკარგა საუკეთესო ქართველი და საზოგადო მოღვაწე.

ძვირფასი საშას დაკარგვა დიდათ საგრძნობელი იქნება ბევრი გაჭირვებული გლეხისათვის.

ტ. კახიძე.

—

სადმელი. (რაჭის მაზრა). დიდათა ვწუხვართ და მწუხარების ბინდსა გვფენს ჩვენი ნიჭიერი მამულიშვილის ალ. ფრონელის (ყიფშიძის) უდროოდ გარდაცვალება. ჩვენს სევდიან მატიანეში ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი მისი სახელი. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

შალიკო ჯვარისხელი, პანტელეიმონ შარაბიძე, მელქისედეკ კობახიძე.

სომხების ორგანო მოსკოვში

ქ. მოსკოვში გამოდის ჟურნალი „Армянскій Вѣстникъ" (სომხების უწყება). იგი გამოდის 1916 წლის იანვრიდან და ეწევა სომეხთა საკითხის პროპაგანდას რუსის საზოგადოებაში. ამ ჟურნალში მონაწილეობას იღებენ გარდა იმ პირთა, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ კავკასიის სომხურ პრესაში, აგრეთვე რუსის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, სახელდობრ: აკადემიკოსი ა. ი. ბუნინი, ი. ა. ბუნინი, ი. ვერხოვსკი, აკად. ა. ნ. ვესელოვსკი, იუ. ა. ვესელოვსკი, ვ. ა. გორდლევსკი, პროფ. ნ. ა. გრედესკული, თ-დი პ. დ. დოლგორუკოვი, ვიაჩ. ი. ივანოვი, პროფ. ს. ა. კოტლიარევსკი, ა. რ. ლედნიცკი, ვ. ნ. მილიუკოვი, პროფ. პ. ი. ნოვგოროდცევი, პონამარევი, როდიჩევი, საკულინი, სოლოგუბი, სტარცევი, ტირცოვი, შაზოვსკი, შინგარიოვი, შჩეპკინი, იაბლონოვსკი და სხ...

ხსენებულ ორგანოს საგანს შეადგენს არა მარტო ოსმალეთის სომხეთის საკითხი, არამედ რუსეთისაც. რუსეთის სომხების მიერ თავისაკენ ეჩოს გამოწევა სომხურ ეროვნულ საკითხში არ არის დაფარული ოსმალეთის სომხებისათვის. ერთის სიტყვით ეს ორგანო არ არის მოკლებული ნათელ ორიენტაციას არც რუსულისას და არც ოსმალურისას. სომხის ერის საკითხი ნათლად არის წამოყენებული და ამ შემთხვევაში მეთაურნი ქების ღირსნი არიან.

ამ ჟურნალის მე-18 და მე-19 ნომრებში დიდი ადგილი უჭირავს ერობის საკითხს კავკასიაში. გარდა იმ სიტყვებისა, რომელნიც იყვნენ წარმოთქმულნი სომეხთა წარმომადგენლების მიერ საერობო თათბირზე, მოყვანილია აგრეთვე ის წერილებიც, რომლებიც დაიბეჭდა სატახტო გაზეთების ფურცლებზედ ერობის შესახებ კავკასიაში. აქ ვრცლად არის მოყვანილი გაზ. „რეჩ"-ში მოთავსებული წერილი მუქარით სავსე „ქართველ თავადებზედ და მუსულმან ბეგებზედ". ადასტურებს რა „არმიანსკი ვესტნიკი", რომ საერობო თათბირის წარმომადგენლებს უნდოდათ რეფორმის განხორციელება 87 მუხლით, შემდეგ მოჰყავს წერილი ბ. ივლიტოვის „პეტროგრადსკია ვედომ."-დან და ილაშქრებს მაზედ. „არმ. ვესტ." გაბრაზებულია, თუ როგორ გაბედა ივლიტოვმა და დაწერა, რომ „ვისი ბრალია, რომ კავკასიაში 5 მილიონი ქართველი და მუსულმანია და სომხობა კი მხოლოდ 1,700,000 და ისიც ოსმალეთიდან გამოქცეულებიო? განა რუსეთის ბრალია, რომ სომხებმა ვერ შეჰქმნეს თავად-აზნაურობა?" იგივე ივლიტოვი სწერს: „სამდურავი ეთქმის პატარა ჯგუფს ერთი ეროვნებისას, რომელიც

ყოველთვის უმრავლესობის წინააღმდეგ მიდის ყოველ ასეთ კეთილ საქმეში კავკასიისათვის“.

გაბრაზებული ივლიტოვის წერილით რედაქცია „არმ. ვესტ.“ დამცინავის და დარიგების კილოთი ბრძენი ადამიანივით ბრძანებს: „დახეთ ბ-ნბო რა საარაკო რიცხვამდე მიიყვანა ივლიტოვმა ქართველების რაოდენობა. განა ყველასაგან ცნობილი არ არის, რომ ქართველები და ქართველი მუსულმანები არ აღემატებიან სომხებს კავკასიაში. ამას თვით კავკასიის კალენდარშიაც იპოვნის მკითხველი“.

ივლიტოვი ლაპარაკობს ქართველებსა და მუსულმანებზედ და „არმ. ვესტ“ რედაქცია კი ვითომ ვერ მიმხვდარა ლაპარაკობს ქართველ მართლმადიდებელ და ქართველ მაჰმადიანებზე. თუ ასეთი ადვილი მოსატყუებელია რუსის საზოგადოება, რაღა იმედი აქვთ სომხებს, რომ ეს ყველა მოსატყუებელი საზოგადოება რამეს გაუკეთებს სომხის ერს. და თუ ასე არ არის, ცოდო არ არის, რომ ასე მასხარათ იგდებენ თავიანთ გულუბრყვილო მკითხველებს?

„არმ. ვესტ.“ უმტკიცებს რუსის საზოგადოებას, ქართველებისა და მუსულმანების დემოკრატია დიდი წინააღმდეგია ასეთ ერობისაო და ასახელებს „აჩიკ სოხს“-ს და ქართულ დემოკრატიულ პრესას.

ჟურნალს უხარიან და იმედს უსახავს ის იდილია, რომ „ერთის მხრით ჩვენი ფართო სომხები და რუსის ბრწყინვალე ინტელიგენცია—მეორეს მხრივ ფეოდალიზმის ნაფოტნი—თავადები და ბეგები.

წერილი ოზურგეთიდან

1905 წელს ოზურგეთის სასულიერო პირველ-დაწყებით სკოლასთან დაარსდა საცდელი საქსოვი სახელოსნო; 1905 წელს სას. სასწავლებელში მსახურებდა ვინმე ჩხაიძე, ის სკოლის ზედამხედველმა რაღაც უმიზეზოდ დაითხოვა. გზაზე ხვდება მღ. სოლომონ ანდღულაძე. მას გაუზიარა რომ იცის ქსოვა; ნიმუშად ამოიღო ცხვირსახოცი, მოიხადა კაბალახი და უთხრა: „აი ესენი ჩემი ნაქსოვიაო“. მღ. სოლომონს გაეხარდა და მისი სახლში საქსოვიც ინახულა.

ამის შემდეგ მღ. სოლ. ანდღულაძე ითხოვს სას. სკოლის ზედამხედველისაგან ნებას და მასთან ცოტა ფულს ორას მანეთამდის იარაღების შესაძენად იმ მიზნით, რომ სკოლასთან როგორმე მოეწყო ის და ესწავლებინა ბავშვებისათვის ხელობა.

ამ ორას მანეთით იწყებენ საქმეს. მაგრამ ასეთი მცირე თანხით ვერას გახდებოდა და მღ. სოლომონი მიდის და თან მიაქვს სახელოსნოში ნაქსოვი მატერიები საჩვენებლად მაშინდელ იმერეთის ეპისკოპოსთან ფოთში და უხსნის საქმის ყოველივე მდგომარეობას. მას უკვირს და არ სჯერა. გზავნის რწმუნებულს ოზურგეთში საქმის სანახავად.

ეპისკოპოსი ეხმარება ფულით, თან მთავრობის განსაკუთრებული პოსობია ინიშნება და ასე ამგვარად საქმე ეტყობა იჩარხება, სახელოსნო გადადის ახალ შენობაში და გაცილებით უფრო კარგად ეწყობა, ინიშნება საქმის მცოდნე, ენერგიული კაცი ბ. ორნავი, რომელიც შრომას არ ზოგავს.

ასეთი იყო მოკლედ, დღევანდელი სახელოსნოს ისტორია, რომელსაც დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა, რომ ის დღევანდელის სახით დაგვენახა.

დღეს უკვე ამ სახელოსნოში 30-მდე ქალიშვილები მუშაობენ. ქსოვის და საქმის შესწავლის შემდეგ მცირე ხელფასიც ეძლევათ.

მაგრამ ერთი გარამოება ხელს უშლის იმას, რომ აქედან შეძენილი ცოდნა ცხოვრებაში გამოსადეგარი და მასარგებლებელი იყოს.

სრულიად სამართლიანად და მომავლის გათვალისწინებით მშობელნი არა ერთხელ შეჰკითხებიან მღ. სოლომონს. ჩემი შვილი რომ გაათავებს ქსოვის სწავლას, რას იზამს, ჯამაგირი ექნება კი?

ამ შეკითხვებს ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია მღვდელი.

მართლაც რა უნდა ჰქნას მათ, სად და როგორ იშოვოს საქმე, რომ თავისი ცოდნით დღიური შრომით თავი შეინახოს.

მათთვის ხომ ცალ-ცალკე დამოუკიდებლად საჭირო მანქანების შეძენა ძნელი საქმეა.

ისინი იძულებულნი არიან მიაშურონ თავის ოჯახს და იქ კარგი ხელობა ოჯახურ „საქმეებში“ თუ უსაქმრობაშიაც დაივიწყოს—მისი ცოდნა უნაყოფოდ ჩადის, მას გასავალი არ აქვს.

აი ამ გარემოებას კიდევაც დაუფიქრებია მღ. სოლომონ ანდღულაძე. ის, როგორც გავიგეთ აპირებს დაწყებული საქმის ბოლომდის მიყვანას. ისეთი ამხანაგობის დაარსებას აპირებს საკმაო თანხით, სადაც ადგილობრივ მოიქსოვა საკმარისად, გაუმჯობესებულის ტეხნიკით, როგორც ბამბეულ-შალეული, ისე უმთავრესად აბრეშუმეულობაც ადგილობრივადვე დამზადებულ ძაფით.

დარწმუნებული ვართ, რომ ახალი საქმე დიდად ხელს შეუწყობს ამ სახელოსნოში ნასწავლ ქალებს შესაფერი შრომის ფასის აღებას. ადგილობრივ დიდძალი აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის ძაფი მზადდება ბ. მუჯირის და ღლონტის სახევე ქარხანაში და გადის საზღვარ-გარედ და რუსეთში. თუ ეს სახელოსნო ჯეროვან დონეზე დადგა, მას დიდი ეკონომიური მომავალი ელის.

ამისათვის ვუსურვებთ დაწყებული საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

გ. ლ.

წერილი გორიდან

გორის ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებამ 26 თიბათვისათვის ქალაქის ბაღში თავის სასარგებლოდ დიდი სეირნობა მოაწყო. ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობამ მოიწვია ქალთა კომისია, რათა მას დახმარება აღმოეჩინა შემოწირულებათა შეგროვებაში და პირადი დახმარებით. მთელი ქალაქი რამდენიმე უბნად იქნა დაყოფილი და ქალები მამაკაცთა დახმარებით დაუზარებლივ აგროვებდნენ შემოწირულებას ლატარიის მოსაწყობად. მათმა ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და საკმარისი ნივთებიც შეაგროვეს. ლატარეიაში ისეთი რამე ჩაეგდოთ, რამაც გორელთა ყურადღება მიიპყრო, მაგალითად სხვა სათამაშო ნივთებთა შორის შეჰხვდებოდით ციკანს, ბატკანს, ბატს, იხვს, ქათამს და ერთი თავი შაქარიც იყო.

სეირნობა დაიწყო დილის 11 საათიდან და განზრახული იყო ღამის 12 საათამდე გაგრძელებულიყო. სეირნობას ხალხი ბლომად დაესწრო, ლატარეიამ ძალიან ცოცხლად ჩაიარა.

სეირნობას ხელი შეუშალა წვიმამ, რომელიც 8 ნახევარ საათზე დაიწყო. მოსეირნეთა რიცხვი ძლიერ შემცირდა და კლუბს შეაფარეს თავი. სეირნობიდან კარგ შემოსავალს ელიან.

კლუბის შესავალში ზოგი ჩვენგანი მუშტი კრივის მოწამენი გავხდით, კლუბის მოხელე ერთ სტუდენტს სცემდა. სავალალოა, რომ გორში დღემდე მუშტს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ჩ. კ—ძე.

დაბა-სოფლები

ს. მატან-მარილისი (თიანეთის მაზრა) შესდგება 600 მცხოვრებისგან, ამათში 100 მეტი სომეხია, რომლებსაც თავიანთი სომხის მღვდელი ჰყავთ. აქ არსებობს ერთკლასიანი სამრევლო სასწავლებელი ერთი მასწავლებლით. საჭიროა დაარსდეს ორკლასიანი სასწავლებელი, ან მეორე მასწავლებელი მაინც მოიწვიონ. ენკენისთვის პირველ რიცხვებში, როდესაც მეცადინეობა იწყება, სასწავლებლის ეზო ბავშვებით და მათ პატრონებით არის სავსე. მსურველი უკანასკნელი 120 ბავშვი ყოველ წლივ არის, მაგრამ ერთ მასწავლებელს არ ძალუძს აიყვანოს არა უმეტეს 50 ბავშვისა. დანარჩენი სწავლისთვის მოწყურებული გლეხის ბავშვები უკან უკმაყოფილოთ ბრუნდებიან. ბევრჯელ ხდება ჩხუბი და დავიდარაბა და ზოგჯერ მასწავლებელსაც ვმდურიან, თუ კი სხვა აიყვანე, ჩემი ბავშვი რატომ არ აიყვანეთო. ამ რამდენიმე წლის წინ ჩხუბისა და ვაივაგლახის გამო მასწავლებელმა კენჭი უყარა ბავშვებს და ისე მიიღო. აი ამ გაჭირვებას განიცდის სოფელი და ამათთვის მალამოს დამდები არავინ ჩნდება. შეიძლება ითქვას, რომ მატან-მარილისს პირველი ადგილი ეჭიროს თიანეთის მაზრაში სახნავი მამულებით და ტყით, რომლებისაგანაც მცხოვრებლები ძალიან ბევრს სარგებლობენ. ყველაფრის გაშენებას მისდევენ და ყველაფერიც ნაყოფიერად აძლევს პატრონს სარგებლობას, მაგრამ მატანის ნაკლულევანება ის არის, რომ აქ არა ჰყავთ ინტელიგენცია. მატანში რომ ინტელიგენცია იყოს, ბევრს სასარგებლოს რამეს შთანერგავდა მატანში კაცი, მაგრამ დღეს მატანი ამასაც მოკლებულია და დიდ გაჭირვებასაც განიცდის. არიან განათლებული პირები თავადის შვილები და ისეთი გლეხებიც, რომლებსაც შეუძლიანთ ყველა საქმეს სათავეში ჩაუდგნენ, მაგრამ ჯიუტობენ, ისინი ყურადღებას არ აქცევენ მცხოვრებთა არც საყვედურს, არც შენიშვნას და წინანდებურად განაგრძობენ თავის პირდაპირ მოვალეობის ღალატს. ადგილობრივი მღვდელი ი. დალაქიშვილი ბევრს იბრძვის, ბევრს ლაპარაკობს სოფლის სასარგებლოდ, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ ბატონო მკითხველო, რომ ამოდენა სოფელში ერთი კაცი ვერაფერს ვერ გააწყობს, თუ ერთი ორი სხვა მაინც არ აძლევს მხარს. აქაური გლეხკაცის ცხოვრება და ქონება მიდის მოვაჭრე სომხების ხელში. იღებენ ყველას დაბალ ფასებში და ჰყიდიან ისევ ჩვენზედ ერთი სამათ. თავიანთ მოტანილს საქონელს ხომ ცეცხლს უკიდებენ და მამაისისხლათ გვასყიდებენ. აქ სულ სომხები ვაჭრობენ და თვით ამათ ტერტერამაც ვაჭრობა დაიწყო, რომელიც უფრო გაცილებით ტყავს აძრობს ხალხს. შვილი დიაკვანი უდგა დახლში და თვითონ სავაჭროდ დაიარება ქ. თეთელავში. ყიდულობს საწყალ ხალხისგან შეძენილი ფულებით საქონელს ერთნაირად. ყოველ კვირას ორჯელ დაიარება თელავში და როცა ერთი რამე დაძვირდება მოუტანს შვილს ამბავს და წინანდელ ფასებში ნაკლებად ნასყიდ საქონელს ერთი ორად ჰყიდის. ხდება ბევრჯელ ისეც, რომ ტერტერა დგას დახლში და თვითონ ვაჭრობს. ამ ერთი კვირის წინ, ამ უშაქრობაში ტერტერას სადღაც ეშოვნა რამდენიმე ფუთი შაქარი და მოიტანა.

თიბათვის პირველ რიცხვებიდან აქ ლაპარაკი აღიძრა კოოპერატიულ ამხანაგობის გახსნაზედ. ხალხმა უარი არ განაცხადა და სიხარულით მოელიან კოოპერატივის დაარსებას. სომხებმა ბევრი დაქრთამეს. ბევრი უთხრეს: ნუ გინდათ მაგისთანა დუქანიო, თორემ ვინც მაგ საქმის მეთაურები არიან ისინი დასუქდებიან და თქვენ არაფერიც არ დაგრჩებათო. თუმცა ზოგს მართალი ეგონა, როგორც უსწავლელ ხალხს, მაგრამ ბევრი ნაწილი კი მსურველია. ერთი კვირის განმავლობაში ორჯელ მოხდა კრება სოფლისა, ამის თაობაზედ. ამ ერთ კვირაში აქაურმა მცხოვრებმა მასწ. არ. ხოხობაშვილმა 120 წევრი შეაგროვა და სცდილობს, კიდევ ბევრი წევრები შეიძინოს. ახლო მომავალში მატანში უნდა მოველოდეთ კოოპერატიული ამხანაგობის დაარსებას.

გულშემატკივარი.

—

დ. სურამი. საუცხოვო ამინდი დგას. მრავალი მოაგარაკენი მოვიდა და კიდევ ბევრს ელიან. სახლების ქირა იაფია. სანოვაგეც იშოვება.

ამ ბოლო დროს სურამის ახლო მდებარე მადნებსაც მიაქციეს ყურადღება და გადაწყვეტილია მისი დამუშავებ. დიდი ხანია აქედან რკინისგზით ეზიდებიან კირს, გაჯს, თეთრ მიწას, ფერადებს, გრაფიტს, ცარცს და სხვას. ბევრი გაჰქონდათ ხე-ტყეც. ამ ცოტა ხანში ყიასიშვილი, ბ. ხიდირბეგოვი და ამხ. სურამში აამოქმედებს ცარცის ქარხანას. ქარხნის კედლები აყვანილია, მანქანებიც გამოწერილი და ცოტა ხანში მუშაობაც გაჩაღდება. აქვე სურთ მოაწყონ სამთო გამოსაკვლევი ლაბორატორია.

მილოზი.

—

კაბალის საზოგადოება. ხსენებული საზოგადოება შესდგება 7 პატარა ქართველ სოფლებიდან, დასახლებულნი არიან იმერლები თავად ვაჩნაძეების მამულში, რომელიც იჯარით აქვთ აღებული დესეტინა 5 მანეთად, ამის შესახებ გლეხებს ხელშეკრულობაც ჰქონიათ თავადებთან, მაგრამ მიუხედავად ამისა მადა გაღვიძებული თავადები მოითხოვენ გლეხებიდან იჯარის ფასის მომატებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აყრას ემუქრებიან. მდგომარეობა ძალზე გამწვავებულია, გლეხებს საჩივარი აღუძრავთ საგლეხო საკრებულოში, 20 ამ თვეს საქმის მოსარიგებლად მოვიდა მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი ჯორჯაძე, მაგრამ გლეხებმა ერთხმად უარი სთქვეს იჯარის ფასის მომატებაზე. „დღეს რომ მოუმატოთ, ხვალაც კიდევ მოგვთხოვენ მომატებას, თუ სამართალია ქვეყანაზე, ჩვენი საქმე სუდით უნდა გასწორდესო“ გაიძახოდენ გლეხები. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ გლეხებს ვინც კი დაჰპირდება შველას, ყველასი სჯერათ. მოსულა ვიღაც „ვექილი“ ტაბატაძე, რომელიც დაჰპირებია გლეხებს საქმის მოგებას, რაოდენიმე ასი მანეთი წაუღია საქმის საწარმოებლად და მოუქუსლავს თბილისში. ამას წინად ასევე მოუტყუებია ვიღაც რუს გუკისა—გლეხებს დაპირებია ეს ვაჟბატონი: თქვენ მამულის საქმეს სახ. სათათბიროში გავაკეთებიებ დეპუტატ ჩხეიძესო. იმასაც 500 მანეთი დაუძვრია გლეხებისაგან, გლეხებს შველა-პატრონობა ესაჭიროება.

გრ. საქარიქედელი.

—

სოფ. ბაკურიანი. (გორის მაზრა) მშვენიერი ამინდი დადგა და ბაკურიანს, მრავალი მოაგარაკე ესტუმრა. შარშანდელთან შედარებით წელს უფრო ბევრი ხალხი ჩამოვიდა. ბაკურიანში სანოვაგე იაფია, ვიდრე სხვაგან. ყოველ დღე ჩამოდიან მოაგარაკენი და აქედან გააქვთ ცემში, წაღვერში და სხვაგან რძე, ყველი, ერბო და კარაქი, რითაც განთქმულია ბაკურიანი.

სამწუხაროდ ამ ორი კვირის წინ საქონლის ჭირი გაჩნდა და ზოგს დაეხოცა რამოდენიმე ხარი და ძროხა. საქონლის ჭირი გაჩნდა აქ ჯავახეთიდან, სადაც აპრილში და მაისში ჭირმა ბევრი საქონელი იმსხვერპლა, სანამ ასცრიდენ. მერე დაგვიანებით ბეითალი ჩამოვიდა და ყველა საქონელს აუცრა ამ ჟამად ბაკურიანში ჭირი მოსპობილია. ყოველ დღე ბაკურიანში ჯარისთვის დიდძალი ფქვილი მოდის, რომელსაც აქედან ახალქალაქში ეზიდებიან ურმებით და იქიდან კიდევ არდაგანში ამიტომ დიდი მოძრაობაა ბაკურიანში.

ადგილობრივ მღვდლის ერ. ჯობავას თაოსნობით აქ იხსნება მომხმარებელი საზოგადოება, რომლის წევრად იქნებიან მცხოვრებნი, როგორც ბაკურიანისა, ისე ციხის ჯვარისა, მიტარებისა და თორისა. ამ დღეებში მოველით ბ. გუბერნატორისაგან დამტკიცებულ წესდებს.

ე. ხაბაშვილი.

—

ქვედა-ძიმითი, (გურია). ქვედა-ძიმითი ჩამორჩენილ კუთხეთ ითვლებოდა მთელ გურიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთკლასიან სამინისტრო სკოლას, რომლის დაუმთავრებელი შენობა და სასწავლო ნივთების უქონლობა აფერხებდა სწავლის საქმეს.

ღევანდელი მდგომარეობა კი სანუგეშოა: სკოლას უკვე მოეპოება საჭირო ნივთები; სწავლის საქმეც შესაფერ ნიადაგზეა დაყენებული.

მეექვსე თვეა რაც ამ სოფელში კოოპერატივი „წარმატება“ დაარსდა და უკვე მოიპოვა საკმაო ნდობა მკვიდრთა თვალში. წევრთა რაოდენობა 110-მდეა. გაჩაღებულია როგორც სანოვაგით ისე საწვრიმალო და საფართლო. საქონლებით ვაჭრობა. წარმოება რიგზე მიმდინარეობს.

სამკითხველოსაც ეყრება საფუძველი. შენობისათვის ფულის გროვება უკვე დაწყებულია და ახლო ხანში მიზნის განხორციელებასაც მოველით. გაზეთებით კი ეხლაც სარგებლობენ მკითხველნი. და ეს კულტურული წინ სვლა ქვედა ძიმითისა კი მიეწერება ბ-ნ მასწავ. კოწია ჭუბაბრიას დაუღალავ ენერგიას, მადლობის ღირსია ძველი გამგეობა კოოპერატივისა, რომელმაც შესაფერი ფხა და უნარი გამოიჩინა თავის მოვალეობის ასრულებაში. ახალი შემადგენლობაც გამგეობისა და სხრევიზიო კომისიისა ფრიად სანდოა და იმედი არის „წარმატება“ წარმატებული იქნება. ნოქარი სამსონიაც პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას.

მიუდგომელი.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო!

14 თიბათვის, 1916 წლის თარიღით მივიღე მომქმედ ჯარიდან მეჯინგერდის კომენდანტის თანაშემწის პორუჩიკ **იოსებ იაკობის ძის ჩახნაშვილისაგან** ოცდა ხუთი (25 მ.) მანეთი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად, რომელსაც გაახლებთ დანიშნულებისამებრ გადასაცემად,

მიხ. ლომიძე.

—

რედაქციამ მიიღო შემოწირულება **ქართველ მოღვაწეთა აგარაკას ასაშენებლად:** 14 მანეთი და 80 კაპ. შეგროვილი ექ. მ. იმხნელისაგან ჩრდილო-დასავლეთ ასპარეზზე მყოფი ქართველი ჯარისკაცებისაგან.

2) 10 მანეთი კონსტანტინე რევაზის ძე ლომთაძისაგან.

3) ბ. ისიდორე კვიცარიძისაგან 5 მანეთი და ლევან დიმიტრის ძე ბოკერიასაგან 5 მანეთი.

თეატრი

თიანეთი.

ადგილობრივ ახალგაზრდაუა ძალების მიერ 3 მკათათვეს წარმოდგენილი იქნება „ქართველი დედა“, პიესა 4 მოქ. ავქ. ცაგარლისა. მონაწილეობენ; ქ-ნნი გოჯიევი, ნამო-აძე, ფიცხელაური; ბ-ნნი გრ. ხერხეულიძე, სვ. ბადურაშვილი, ნიკოლაძე, გოგოლაძე, სუხიაშვილი, გოჯიევი იასე და სხვანი.

შესწორება

„საქართველო“-ს 140-ე ნომერში მოთავსებულ **სერგო წერეთლის** წერილში „ქუთ. თავ.-აზნ. ბანკის შესახებ შემდეგი შეცდომებია: დაბეჭდილია—შუა კატაის უნდა იყოს შუა კაცის, დაბეჭ. იანვრის დასაწყ. 1914 წ. უნდა იყოს 1916 წ., დაბეჭ. გამიყიდეს ამ სახლის გამოღებულ ვალში უნდა იყოს ამ სახლის გამო აღებულ ვალში. დაბეჭ. დირექტორ მ. ი ფანდნაკას სიტყვით, უნდა იყოს ფანცხავას და სხვ.

რედაქტორ-გამომცემელი

ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4, 7	„ 58		„ დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3, . 7	„ 58		„ საღ.

გერმანიაში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russepour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა & წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება უძველესი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ქართული მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზეითუნი“, ჟურნ. „განათლება“, „კავკასიის სლოვო“, „ომის ლისტოკი“, „ოროჰრონ“, და „ხამახაბა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და საგარეო სახ. „ძ. მეგველოვ-შვილი“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითით ხიზილალა, მცირე მარილიანი, ზვიო „ოშ-მუსინი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე კონსერვები და სარდინები უცხოეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრების“ კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.